თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 7 სექტემბერი
მორიგი სხდომის
ოქმი № 13

ქ. თერჯოლა 7 სექტემბერი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ამირან ვერულაშვილი, 3. ნინო ჩხიკვაძე, 4. თემური ქოჩიაშვილი, 5. ლაშა გურგენიძე, 6. იზა მაგრაქველიძე, 7. ბიძინა ბუცხრიკიძე, 8. კობა კაცაძე, 9. ნინო მახათაძე, 10. ომარი ჯიხვაშვილი, 11. ბადრი ბუცხრიკიძე, 12. ჯემალ ისაკაძე, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. გრიგოლ გიორგაძე, 15. გოჩა ვერულაშვილი, 16. დავით გოგბერაშვილი, 17. კახა ბუცხრიკიძე, 18. რამინი რობაქიძე, 19. თამარ ახვლედიანი, 20. ფრიდონ გვენეტაძე, 21. დავით ცხადაძე, 22. ნატალია ასათიანი, 23. კობა კირკიტაძე, 24. მერაბი ბასილაძე, 25. ტარიელ ფანჩულიძე, 26. რუსუდან კოვზირიძე, 27. როლანდი მესხი, 28. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. ელისო მურადაშვილი, 2. შალვა ჭანკვეტაძე

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 28 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12³⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სოფელ ჩხარში მდებარე შენობაში არასაცხოვრებელი ფართის-50 მ², სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით გადაეცეს მოქალაქეებს-გაგა ქათამაძეს და დიმიტრი რობაქიძეს) (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282224810, 05.09.2022 წ.);

/მომხს: ბ.ბუცხრიკიძე/

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყლის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ(თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282223852, 26.08.2022 წ.);

/მომხს.ბ.ბუცხრიკიძე/

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29.29220147 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282223760, 25.08. 2022 წ.);

/მომხს. ნ.მახათაძე/

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29.292201416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282223760, 25.08. 2022 წ.);

/მომხს. ნ.მახათაძე/

5. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29.292201417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282223760, 25.08. 2022 წ.).

/მომხს. ნ.მახათაძე/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ",სოფელ ჩხარში მდებარე შენობაში(ს.კ 33.15.04.809) არსებული არასაცხოვრებელი ფართის-50 m^2 სარგებლობის უფლებით,

ქირავნობის ფორმით პირდაპირი განკარგვის წესით, 1(ერთი) წლის ვადით მოქალაქეებზე- (გაგა ქათამაძე და დიმიტრი ქათამაძე) გადაცემის თაობაზე განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (სოფელ ჩხარში მდებარე შენობაში არასაცხოვრებელი ფართის-50 m^2, სარგებლობის უფლებით, ქირავნობის ფორმით გადაეცეს მოქალაქეებს-გაგა ქათამაძეს და დიმიტრი რობაქიძეს) განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29222504, 07.09.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყლის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი, რომლითაც დადგინდება წყლის მიწოდების ტარიფი: ა.) გამრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის-0,40 ლარი, ხოლო არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის-1,50 ლარი. ბ.) გაუმრიცხველიანებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლისათვის ,სულადობის მიხედვით-ერთ სულ მოსახლეზე 1,50 ლარი. წყლის მიწოდების მომსახურეობის აღრიცხვას განახორციელებს ა(ა)იპ თერჯოლის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის მუნიციპალური სამსახური.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტექნიკური წყლის მიწოდების საფასურის (ტარიფის) დადგენის, საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლების წყალმომარაგების (ტექნიკური წყალით მომარაგების) რეგულირების წესის, ტექნიკური წყლის მიწოდების ხელშეკრულების ტიპიური ფორმის, ტექნიკური წყალის მომარაგების ქსელზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის, მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის, აღრიცხვის კვანძის მოწყობისა და შეჭრის საფასურის და აღიცხვის კვანძის დალუქვისა და მოხსნის აქტის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29222505, 07.09.2022 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო მახათაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის №გ-29.29220147 განკარგულებაში შესატანი ცვილელების შესახებ განკარგულების პროექტი. ბიუჯეტი არის 390 000 (სამას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი, აქედან ა)საცხოვრებელი სახლები, რომლებიც საჭიროებს გადაუდებელ შეკეთებას ხანძრის ან სტიქიის შემთხვევაში ბიუჯეტი განსაზღვრულია 30 000(ოცდაათი ათასი) ლარით . ხოლო ბ)მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობა ან/და შეძენის ბიუჯეტი განსაზღვრულია 360 000(სამას სამოცი ათასი) ლარით. აღნიშნული ბიუჯეტის ფარგლებში შენდება 9 ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი . მოსალოდნელია ხელშეკრულების 10% ზრდა. სამუშაო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის საჭიროა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ბიუჯეტი გაიზარდოს 30 000 ლარით და გახდეს 390 000 (სამას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი. შესაბამისად მთლიანი პროგრამის ბიუჯეტი გახდება 420 000(ოთხას ოცი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების 2022 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29.29220147 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29222501, 07.09.2022 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო მახათაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების 2022 წლისწლის 14 იანვრის Nგ-29.29220147 განკარგულებაში შესატანი ცვლილებების შესახებ" განკარგულების პროექტი. ბიუჯეტი შეადგენს 200 000 (ორასი ათასი) ლარს. აღნიშნულ პროგრამაში თანხის მომატება საჭირო გახადა მოსარგებლე ბენეფიციართა მატებამ, გარდა ამისა გასულ წელთან შედარებით გაიზარდა დახმარების ოდენობა- 3000 ლარს ზემოთ პაციენტის გადახდის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერია ეხმარება 800 ლარით, ხოლო 5000 ლარის ზემოთ გადახდის შემთხვაში 1000 ლარით. ,ასევე 2022 წლიდან მოქალაქეს რომელთა წლიური შემოსავალი 10 000(ათი ათასი) ლარს არ აღემატება შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ მეორედ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

იმისათვის რომ არ შეფერხდეს მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურეობა მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია გაიზარდოს აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი და გახდეს 267 000 (ორას სამოცდაშვიდი ათასი) ლარი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 , წინააღმდეგი - 3

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის № 29.292201416 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29222502, 07.09.2022 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო მახათაძემ საკრებულის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ,, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის N-29.292201417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - 2022 წლის ბიუჯეტია 180 000(ას ოთხმოცი ათასი) ლარი ,რომელიც ამ დროისთვის თითქმის მთლიანად გახარჯულია. ამ ეტაპისთვის ხდება 3 000 (სამი ათასი) ლარით ბიუჯეტის ზრდა.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 28 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარების 2022 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 14 იანვრის N 29.292201417 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი (განკარგულება №გ-29.29222503, 07.09.2022 წ.).

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 7 სექტემბრის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი